EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

This project is funded by the EU

ტრენინგი - სემინარი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) სკოპინგი

2016 წლის 19 აპრილი

თბილისი, საქართველო

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UNEP | UNIDO

EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

This project is funded by the EU

სკოპინგის საფუძვლები

UNECE-ს საერთაშორისო კონსულტანტები SEA-ს საკითხებში:

ბ-ნი მარტინ სმუტნი
ბ-ნი მიხალ მუსილი

2016 წლის 19 აპრილი

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UNEP | UNIDO

სგშ-ს ტიპური ეტაპები და ანალიზი

სკრინინგი	• საჭიროა სგშ, თუ არა
სკოპინგი	• რაზე უნდა იქნას გამახვილებული ყურადღება სგშ-ს დროს
საბაზისო ანალიზი	• ამჟამინდელი სტატუსი და სავარაუდო განვითარება მომავალში, გეგმის გარეშე
ზემოქმედების შეფასება	• რა არის გეგმასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ზემოქმედება
შერბილების ღონისძიებები	• როგორ შეიძლება ზემოქმედების თავიდან აცილება, ან შერბილება
სგშ ანგარიში	• შედეგებისა და რეკომენდაციების შეჯამება

კონსულტაციები

სგშ შედეგების ასახვა

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
Programme carried out with the financial assistance of the European Union
OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES
UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE
UNEP
UNIDO

სკოპინგის მიზანი

სკოპინგის შედეგად გამოვლენილი უნდა იქნას **გარემოსდაცვითი ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები**, რომლებიც სგშ-ს განხორციელებისას უნდა იქნას გათვალისწინებული.

სკოპინგის შედეგად, შესაძლებლობისდაგვარად, ასევე უნდა იქნას განსაზღვრული:

- შეფასების **ტერიტორიულ მასშტაბები** და ძირითადი პრობლემური საკითხები,
- **დაინტერესებული მხარეები**, რომლებიც ჩართულნი უნდა იქნან,
- **გასათვალისწინებელი მონაცემები და ინფორმაცია**

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
This project is funded by the EU
OECD UNECE UNEP UNIDO

სკოპინგის სახელმძღვანელო პრინციპები

სკოპინგის დროს გარკვეული საკითხების **გამოტოვება** ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სხვა საკითხების **ჩართვა** (წინააღმდეგ შემთხვევაში სგშ ძალიან მრავლისმომცველი და არაკონცენტირებული იქნება.

მნიშვნელოვანია, **სგშ-ს ფარგლები იყოს მოქნილი**, რათა შესაძლებელი გახდეს შემოთავაზებული გეგმის, ან პროგრამის გარემოსდაცვითი ზეგავლენისა და შედეგების შესახებ დამატებითი ინფორმაციის შესაბამისად მისი მოდიფიცირება.

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
This project is funded by the EU
OECD UNECE UNEP UNIDO

სკოპინგის მიდგომა

- სგშ-ს ექსპერტებმა შესაბამის გარემოსდაცვით უწყებებთან კონსულტაციის გზით უნდა გამოავლინონ გარემოსა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, რომლებიც რელევანტურია დაგეგმვის დოკუმენტისათვის და ყოველ ცალკეულ საკითხთან მიმართებაში განსაზღვრონ:
  - შეფასების ტერიტორიული ფარგლები და მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხები
  - პოლიტიკის და საკანონმდებლო კონტექსტი რელევანტური გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისათვის
  - დაინტერესებული მხარეები, რომლებიც უნდა იქნან ჩართულნი
  - გასათვალისწინებელი მონაცემები და ინფორმაცია
  - მეთოდები რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული

- გარდა ამისა,
  - გამოვლენილი და აღწერილი უნდა იქნას შესაბამისი გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის დაცვის მიზნები
  - შემუშავებული უნდა იქნას საკითხები / საორიენტაციო შეკითხვები შემდგომი ანალიზისათვის

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
This project is funded by the EU
OECD UNECE UNEP UNIDO

გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის უწყებების შესაძლო ფუნქციები

- სგშ-ს უწყება
  - მეთვალყურეობს სკოპინგის ეტაპის პროგრესს
  - აგროვებს და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებულ შენიშვნებს
  - განიხილავს სკოპინგის ანგარიშს
  - გასცემს სკოპინგის დასკვნას / გადაწყვეტილებას
- გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის უწყებები
  - აწვდიან საჭირო ინფორმაციას / მოსაზრებებს
  - იძლევიან შენიშვნებს სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით
  - აწვდიან ინფორმაციას / მონაცემებს

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
This project is funded by the EU
OECD UNECE UNEP UNIDO

სკოპინგი ინგლისში

- სკოპინგზე პასუხისმგებელია <u>პასუხისმგებელი უწყება (ანუ, დამგეგმავი უწყება)</u>
- პროცესში მან კონსულტაციები უნდა გაიაროს, სულ მცირე, კანონით განსაზღვრულ შესაბამის საკონსულტაციო ორგანოებთან.
- როგორც წესი, ეს ხდება პასუხისმგებელი უწყების მხრიდან საკონსულტაციო ორგანოებისადმი ფორმალურად მიმართვის გზით, რათა მათ წარმოადგინონ მოსაზრებები განსაზღვრულ საკითხებთან ან/და შემოთავაზებული სკოპინგის ადეკვატურობასთან დაკავშირებით.
- ხშირად იწერება სკოპინგის ანგარიში, თუმცა არ ექვემდებარება არანაირ „დამტკიცებას“.
- არ არსებობს სკოპინგის ფორმალური მოსაზრება / გადაწყვეტილება სგშ-ს უწყების მხრიდან.

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
This project is funded by the EU
OECD UNECE UNEP UNIDO

სკოპინგი ჩეხეთის რესპუბლიკაში

- სკოპინგზე პასუხისმგებელია <u>სგშ-ს უწყება.</u>
- ვრცელი სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენა სავალდებულო საწყის ეტაპს წარმოადგენს. ანგარიში ეგზავნება კანონით განსაზღვრულ შესაბამის საკონსულტაციო ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს და ხდება მისი გამოქვეყნება.
- (ინსტიტუციური) დაინტერესებული მხარეების მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე სგშ-ს უწყება გამოსცემს სკოპინგის ფორმალურ გადაწყვეტილებას.

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
This project is funded by the EU
OECD UNECE UNEP UNIDO

რას ნიშნავს სგშ-ს კარგი სკოპინგი?

- უნდა იძლეოდეს საშუალებას, რომ შემდგომი შეფასება ორიენტირებული იყოს მხოლოდ მდგრადობასთან დაკავშირებულ იმ ძირითად საკითხებზე, რომლებზეც გეგმამ ან პროგრამამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს.
- უნდა ეხმარებოდეს გადაწყვეტილებების მიღებას გეგმის ან პროექტის მდგრადობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების შემდგომი ანალიზისათვის სათანადო მეთოდებისა და ანალიტიკური საშუალებების გამოყენებისათვის.
- უნდა უზრუნველყოფდეს, რომ სგშ-ს შემდგომ პროცესში ასახული იქნას შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები (ანუ, შესაბამისად, კონსულტაციები სკოპინგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს)
- სკოპინგთან დაკავშირებული შეზღუდვები :
  - როგორც წესი, ეფუძნება შეზღუდულ მონაცემებს / ზოგად ანალიზს
  - არ უნდა იყოს (და არც არის ჩაფიქრებული, რომ იყოს) დეტალური
  - შედეგები გადამოწმებული უნდა იქნას შემდგომი ანალიზით, და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გეგმის ან პროექტის შემარბილებელი ღონისძიებები უფრო დეტალურ ინფორმაციას საჭიროებს.

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
This project is funded by the EU
OECD UNECE UNEP UNIDO

კითხვები, კომენტარები?

გმადლობთ ყურადღებისათვის!

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
This project is funded by the EU
OECD UNECE UNEP UNIDO